გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 14 ივნისი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის №45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/12/2023; 010250050.35.148.016776) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მედიკამენტებით დახმარება გაეწევა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 0-დან 150000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე შემდეგი კატეგორიის იმ ბენეფიციარებს, რომელთა საცხოვრებელ ადგილად სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში განსაზღვრულია გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია:

ა) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებულ პირებს;

ბ) შაქრიანი დიაბეტი ტიპი II-ით დაავადებულ პირებს;

გ) ბრონქიალური ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პირებს;

დ) ფარისებრი ჯირკვლის დაავადების მქონე პირებს;

ე) თვალის ქრონიკული დაავადების (გლაუკომა) მქონე პირს სამედიცინო კოდი H40-დან – H42 ჩათვლით; H42*;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. გაფანტული სკლეროზის (G 35) დიაგნოზის მქონე, უნარშეზღუდულობის შკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მინიჭებული ბენეფიციარების სამედიცინო კვლევების და მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვროს არაერთჯერადად წლიური ლიმიტი 2000 (ორი ათასი) ლარის ამოწურვამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**